


15 თებერვალი 2012

„ალდაგი ბისიას“ საპენსიო ფონდი აცხადებს საინვესტიციო მოგების საუკეთესო მაჩვენებელს რეგიონის მასშტაბით

სს „ალდაგი ბისიას“ საპენსიო ფონდი, უმსხვილესი საპენსიო ფონდი საქართველოში, რომელიც იმართება ერთობლივად შპს „აბზი ასეტ მენეჯმენტისა“ და სს „ალდაგი ბისიას“ მიერ, აცხადებს, რომ საპენსიო ფონდის 2011 წლის საინვესტიციო მოგება საგრძნობლად აჭარბებს რეგიონის სხვა საპენსიო ფონდების ანალოგიურ მაჩვენებელს, როგორც ეროვნულ ვალუტაში, ისე აშშ დოლარში. „ალდაგი ბისიას“ საპენსიო ფონდის საინვესტიციო მოგება 2011 წელს ეროვნულ ვალუტაში 12.7%-ით, ხოლო დოლარში 19.7%-ით განისაზღვრა, მაშინ როცა რეგიონის უმსხვილესი საპენსიო ფონდების საინვესტიციო მოგება ძირითადად უარყოფითი მაჩვენებლით ხასიათდებოდა (იხილეთ გრაფიკი).

საპენსიო ფონდების წმინდა საინვესტიციო მოგება, 2011 წ



წყარო: საინფორმაციო სააგენტო „Investfunds“, „Invest-Market“, კომპანიის შეფასებები

„2011 წელი ერთ–ერთი ყველაზე მძიმე წელი იყო მსოფლიო ეკონომიკისთვის და მოხარულნი ვართ, რომ „ალდაგი ბისიას“ საპენსიო ფონდმა ეს პერიოდი წარმატებით გადალახა, განსაკუთრებით რეგიონის სხვა საპენსიო ფონდებთან შედარებით“, აღნიშნა „ალდაგი ბისიას“ გენერალურმა დირექტორმა **ნიკოლოზ გამყრელიძემ**.

„ალდაგი ბისიას“ საპენსიო ფონდმა კვლავაც არაჩვეულებრივი შედეგი აჩვენა ფინანსურ ბაზრებზე არსებული რთული სიტუაციის მიუხედავად. ჩვენ მოვახდინეთ საპენსიო ფონდის სახსრების ინვესტირება დაბალრისკიან აქტივებში ევროზონის კრიზისის გამწვავებამდე და შესაბამისად შევინარჩუნეთ სტაბილური ამონაგები მთელი ამ პერიოდის განმავლობაში“, აღნიშნა „აბზი ასეტ მენეჯმენტის“ გენერალურმა დირექტორმა **ბიბინა ბეჟუაშვილმა**.

„ალდაგი ბისიას“ საპენსიო ფონდის შესახებ

„ალდაგი ბისიას“ საპენსიო ფონდი დაფუძნდა საქართველოს მოქალაქე სადაზღვეო კომპანია „ალდაგი ბისიას“ მიერ 2005 წლის ივნისში. 2012 წლის იანვრის მდგომარეობით, საპენსიო ფონდის აქტივების ღირებულება შეადგენს 6.8 მილიონ ლარს და კლიენტთა საერთო რაოდენობა 8,500 ადამიანით განისაზღვრება. „ალდაგი ბისიას“ საპენსიო ფონდი არის საქართველოს უმსხვილესი საპენსიო ფონდი. საპენსიო პორტფელში შედის ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების ფასიანი ქაღალდები და ფულის ბაზრის ინსტრუმენტები, გრძელვადიანი დეპოზიტების ჩათვლით.

„აბზი ასეტ მენეჯმენტის“ შესახებ

კომპანია „აბზი ასეტ მენეჯმენტი“ (აბზი) შეიქმნა 2009 წლის სექტემბერში, მენეჯმენტის მიერ შპს „გალტ ენდ თაგარტ ასეტ მენეჯმენტი“-ს „საქართველოს ბანკიდან“ გამოსყიდვის შედეგად. ამჟამად აბზი მართავს 40 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების აქტივებს და წარმოადგენს უმსხვილეს დამოუკიდებელ აქტივების მართვის კომპანიას საქართველოში.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.aldagibci.ge, www.abbey.ge ან დაგვიკავშირდით:

გიორგი ტატიშვილი

საპენსიო ფონდის უფროსი
ალდაგი ბისიასი
+995 322 444 808 (5431)
gtatishvili@aldagibci.ge

ბიბინა ბეჟუაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი
აბზი ასეტ მენეჯმენტი
+995 595 227 997
bbejushvili@abbey.ge